გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

№9 (9386) | 15 მაისი. 2023 წელი | ფასი 75 თეთრი

## შიდა გზები ყველგან მოწესრიგდება



2

## ადგილობრივმა საკრებულომ ახალგაზრდულ პარლამენტს უმასპინძლა

2



3

## თეა წულუკიანმა სამტრედიაში სალოტბარო სკოლა მოინახულა

## ბავშვობაშივე ასრულებული ბავშვობის ოცნება



6

## გენდერული საბჭო მოქმედებს

3

## მუხრან კაშიას ტურნირმა ნიჭიერი მათემატიკოსები გამოავლინა

7

## ჯანმო-მ „კოვიდ-19"-ით გამოწვეული გლობალური საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოაცხადა

3




4

5



რა ვუთხრა, შვილო, დედაშენს!

# ადგილობრივმა საკრებულომ ახალგაზრდულ პარლამენტს უმასპინძლა

თეა ბაბუნაშვილი

ხალხმრავლობას მიჩვეული საკრებულოს დარბაზი მაისის თვის პირველივე სხდომაზე განსაკუთრებით დატვირთული გახლდათ. საპარლამენტო ღონისძიება ბავშვობის მოგონებად იმ დღეს ბევრს გაახსენდა, მაგრამ ე.წ. "პარადი" და მასთან დაკავშირებული განცდები უცხო იყო იმ ახალგაზრდებისთვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები რომ ერქვათ და მოსწავლეთა ახალგაზრდულ პარლამენტს რომ წარმოადგენდნენ. მათთვის საინტერესო აღმოჩნდა სხდომაზე დასწრება და საკრებულოს მიმდინარეობისთვის თვალყურის დევნება.

სხდომაზე კი იმ დღეს განხილული საკითხები ნაკლებად საკამათო აღმოჩნდა უმრავლესობა-უმცირესობის დებატებისთვის.

გამწვანებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების ბიუჯეტში შეტანილი შიდა მუხლობრივი ცვლილება ორგანიზაციის საჭიროებით გახლდათ გამოწვეული. შიდა მუხლობრივი გადანაცვლება აღმოჩნდა საჭირო კომპლექსური სპორტული სკოლის ბიუჯეტშიც. გარკვეული ცვლილებები, საჭიროებიდან გამომდინარე, საცხენოსნო სპორტული კლუბის ბიუჯეტმაც დაიხაჭიროვა. ხარჯების ცვლილებას ვერც საფეხბურთო კლუბ "ჯიკის" ბიუჯეტი ასცდა.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ. ყველა ამ საკითხზე მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე გახლდათ.

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ცომაიამ კოლეგებს სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ. მეტრზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და 10000 კილოგრამი შავი მეტალის ჯართის საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზების შესახებ ნებართვა სთხოვა, რაზეც ზოგადი ნუსხაში გარკვევის შემდეგ თანხმობა მიიღო. თანხმობა მიიღო, მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრის, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 367 ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით სააქციო საზოგადოება "სილქნეტის" სარგებლობაში გადაცემა და წლიური საფასურის დადგენა.





განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი მელაშვილმა ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც ამჟამად სამედიცინო ამბულატორია ფუნქციონირებს, რევაზ ხალაყაიას სახელის მინიჭების თაობაზე ითხოვა ნებართვა, რასაც დეპუტატები უყოყმანოდ დაეთანხმნენ.

# შიდა გზები ყველგან მოწესრიგდება

თეა ბაბუნაშვილი

"მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტები ხელისუფლებისთვის, ბუნებრივია, გასათვალისწინებელია. უფრო ზუსტად, აუცილებლად შესასრულებელი, მაგრამ მინდა საზოგადოებას ვთხოვო, გაგებით მოეკიდონ მიმდინარე პროცესებს. ყველა ხედავს, რომ სამტრედიაში ინფრასტრუქტურული პროექტები ზედმიწევნით სწრაფად და ხარისხიანად სრულდება. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე აქცენტები განსაკუთრებულად გვაქვს აღებული, მაგრამ თუ რომელიმე ქუჩა ამ ეტაპზე ვერ მოხვდა სარეაბილიტაციო ნუსხაში, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას ყურადღებას არ მივაქცევთ, სამტრედიაში ეტაპობრივად ყველა შიდა მნიშვნელობის გზა მოწესრიგდება!" – ეს კომენტარი მედიასთან მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ მელაურის თემის ხიბლარის უბანში გზის მოასფალტების სამუშაოების დროს გააკეთა. იგი სამუშაო პროცესს საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან ერთად ესწრებოდა. მათთან ერთად იყვნენ მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებიც.

სოფელ ხიბლარში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმიტომ გახლავთ, რომ ამ და მის მიმდებარე სოფლებს ქალაქთან უმოკლესად აკავშირებს.

იმაზე, რომ ამ გზის რეაბილიტაცია მოსახლეობის დიდი სურვილი იყო, მელაურის თემში მერიის წარმომადგენელმა, სოფიკო კიკაჩეიშვილმა ისაუბრა. როგორც იქ თავშეყრილმა ადგილობრივებმა აღნიშნეს, უკვე არაერთი წელია, მოუწესრიგებელი გზა გარკვეულ პრობლემებს უქმნის მოსახლეობას გადაადგილებაში, მით უფრო, გზის ამ მონაკვეთს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

საგზაო სამუშაოებს, რომელიც შპს "არქეოპოლისის" მიერ შესრულდა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი აფინანსებს.









# სამტრედიაში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის პრიორიტეტებზე გათვლილი პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურა. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ასფალტბეტონის საფარი იგება.

დანირის ადმინისტრაციულ ერთეულში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიებზე, სამუშაოების მონიტორინგის ფარგლებში,მუნიციპალიტეტის მერმა,დავით ბახტაძემ,საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ვაჟა სტურუასთან, ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ამირან [illegible] და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გზის დაგების სამუშაოები დაათვალიერა. როგორც ადგილობრივებმა განმარტეს, აღნიშნულ ლოკაციაზე კაპიტალური გზა არასდროს ყოფილა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია "არქეოპოლისი" ასრულებს.

# თეა წულუკიანმა სამტრედიაში სალოტბარო სკოლა მოინახულა

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, თეა წულუკიანი 11 მაისს ოფიციალურად სტუმრობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტს. მან თანმხლებ პირებთან ერთად მოინახულა სალოტბარო სკოლა, რომელიც დროებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლშია განთავსებული (ლოტბარი ბესო მახათაძე).

მინისტრი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელთან, გიორგი გაბუნიასთან ერთად შეხვდა სამტრედიელ ახალგაზრდებს, მოისმინა უფროსი და უმცროსი თაობის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები და იქვე მაღალი შეფასება მისცა მოსწავლეების საშემსრულებლო დონეს.





მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ტატა გოგუაძემ თეა წულუკიანს სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დათვალიერება შესთავაზა, რომელიც იმავე შენობის პირველ სართულზეა განთავსებული.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფუძემდებელმა და ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ჯონი ნადირაძემ საპატიო სტუმრებს მეგზურობა გაუწია და მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატები დაათვალიერებინა. ჯონი ნადირაძემ სტუმრებთან საინტერესოდ ისაუბრა ყველა ექსპონატის მნიშვნელობაზე.

თეა წულუკიანს საჩუქრად გადასცეს მუზეუმის ინიციატივით დაარსებული ჟურნალ "სამტრედიის მატიანეს" 6 ნომერი. კულტურის მინისტრმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, განსაკუთრებით მერს, დავით ხახუტაძეს. თეა წულუკიანმა მადლიერებით დასძინა, ჟურნალი, რომელიც მას სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადასცეს მას, სხვა არც ერთ მუნიციპალიტეტში არ უნახავს.



# გენდერული საბჭო მოქმედებს

ლევან გაბუნავა

წლების წინ, როცა მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო შეიქმნა, მას საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით უძღვებოდა. მერე კი საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე,პროფესიით ექიმი ნათია პაპავა გახდა მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის გენდერულ საკითხებში, თამილა კუკულაძის, აქტიური ჩართულობით საბჭო დამტკიცებული გეგმის მიხედვით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

საბჭოს წევრები არც თუ იშვიათად საინტერესო აქტივობების მონაწილენიც არიან.

26 აპრილს კიდევ ერთი ტრენინგი გაიმართა გენდერული საბჭოს წევრებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

შეხვედრა ამჯერადაც კითხვა-პასუხის რეჟიმში გულახდილ, საქმიან ვითარებაში წარიმართა. აშკარა იყო სადისკუსიო თემის ირგვლივ მონაწილე პირთა აზრთა სხვაობა, რაც სულაც არაა საკვირველი, პირიქით.

ჩვენი აზრით, ნამდვილად სასარგებლოა რიგ საკითხთა მიმართებაში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, მსგავსი ტრენინგების გამართვა.

მადლობა ტრენერ ნინო ბურძენიძეს საინტერესო თემატიკის საინტერესოდვე წარმოჩენისათვის.








## ჯანმო-მ "კოვიდ-19"-ით გამოწვეული გლობალური საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოაცხადა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19-ის პანდემიის სტატუსი გააუქმა. ამის შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ტედროს ადანომ გებრეიესუსმა ბრიფინგის დროს განაცხადა. მისი თქმით, ორგანიზაციის განსაკუთრებული ვითარებების კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა მას ჯანდაცვის სფეროში გლობალური განსაკუთრებული ვითარების დასრულების შესახებ გამოეცხადებინა და მან ეს წინადადება მიიღო. "დიდი იმედით ვაცხადებ, რომ COVID-19 დასრულდა, როგორც გლობალური განსაკუთრებული ვითარება ჯანდაცვის სფეროში". – განაცხადა გებრეიესუსმა. ამავდროულად, მან აღნიშნა, რომ COVID-19 მთლიანად არ გამქრალა. "ამ წამს ათასობით ადამიანი მთელ მსოფლიოში რეანიმაციაში ებრძვიან დაავადებას, მილიონები COVID-19-ის შედეგებით ცხოვრობენ. ვირუსი არსად არ მიდის. იგი მკვიდრდება და მუტაციას განიცდის. ჯერ კიდევ არსებობს ახალი ვარიანტების გაჩენის რისკი". – განაცხადა გებრეიესუსმა. ჯანმოს ცნობით, მასობრივი ვაქცინაციისა და ახალი, საკმაოდ ლეტალური შტამების გაჩენის შემდეგ, მკვეთრად შემცირდა დაღუპულთა რიცხვი: თუ 2021 წლის იანვარში მსოფლიოში COVID-19-ით დაახლოებით, 100 ათასი ადამიანი გარდაიცვალა კვირაში, 2023 წლის აპრილში – 3,5 დაიღუპა. სიკვდილიანობის შემცირებამ შესაძლებელი გახადა 2022 წლის განმავლობაში შემოღებული ზომები უმეტესობის გაუქმება. ჯანმო-ს მონაცემებით, ბოლო სამი წლისა და რამდენიმე თვის განმავლობაში დაახლოებით 20 მილიონი ადამიანი გახდა ამ დაავადების მსხვერპლი. საუბარია ყველა გარდაცვლილების შეფასებაზე, ამა თუ იმ გზით, რომელიც დაკავშირებულია ინფექციასთან.



# 26 მაისს 105 წლის წინ




ლევან ბაბერაშვილი

*26 მაისს 105 წელი სრულდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადებიდან. მოვლენასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ დამსახურებული მამულიშვილის ღვაწლის რამდენადმე სრულად წარმოჩენა, უმნიშვნელოვანესი როლი რომ შეასრულა ახლად შობილი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, მით უფრო, რომ იგი წარმოშობით სამტრედიელი იყო.*

კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკი 1883 წელს სამტრედიაში დაიბადა. მამა – პლატონ ივანეს ძე კანდელაკი აზნაური გახლდათ. წარჩინებული ოჯახის და გვარის შვილი იყო დედამისი, ნატალია ქიქავა. მისი მომდევნო ძმა, რომელიც მასზე 5 წლით იყო პატარა – სიმონ კანდელაკი, მეცნიერში ცნობილი, ტროპიკოლოგი იყო. თბილისში ერთ-ერთ ქუჩას სწორედ მისი სახელი აქვს მინიჭებული. ქუთაისის სემინარიის დამთავრების შემდეგ კ. კანდელაკი უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს მიემგზავრება, სადაც უმაღლესი კომერციული სასწავლებელი დაასრულა. სრულიად ახალგაზრდამ გამოსცა პირველი წიგნი, რომელიც კოოპერაციის საკითხებს ეძღვნებოდა.

35 წლის იყო იგი, როცა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დაინიშნა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად. ამ უაღრესად ურთულესი და საპასუხისმგებლო საქმის აღსრულებას მან მთელი მისი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობები მოახმარა. მისი უშუალო მონაწილეობითა და შეიძლება ითქვას, ხელმძღვანელობით მოიჭრა ქართული ფული (ბონები), რომელიც მალე გახდა კონკურენტუნარიანი ვალუტა ყოფილი მეფის იმპერიის ქვეყნების ფულთან მიმართებაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს დამფუძნებელი კრების (დამკომის) პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა, კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". იმავე წლის 18 მარტს დამტკიცდა ახალი ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

მთავრობის შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**ნოე ჟორდანია** – მთავრობის თავმჯდომარე;

**ევგენი გეგეჭკორი** – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი;

**ნოე რამიშვილი** – შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი;

**ნოე ხომერიკი** – მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი;

**კონსტანტინე კანდელაკი** – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

1918 წლის ზაფხულიდან უკვე დაიწყო ჭიათურის მანგანუმის ამოღება და ექსპორტი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის მრეწველობის აღმოსავლეობისა და ეკონომიკის გასაძლიერებლად.

1920 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო, ეკონომიკის განვითარების ზრუნვის პერსპექტივით.

მთავრობა შეუდგა აგრარული რეფორმის გატარებას, სახელმწიფო ფონდიდან კერძო საკუთრებაში მიწის გაცემას. ყველაზე წარმატებული კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ქართული ფულის კონკურენტუნარიანობა, შესაბამისად ფულის ახალი ნიშნების მოჭრა გახლდათ, რომელზედაც კონსტანტინე კანდელაკის ხელწერა იყო დატანილი.

დიდია დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის წვლილი უნივერსიტეტის საკითილდღეოდ საქართველოში პირველი ლატარიის გათამაშების ორგანიზაციის საქმეში.

ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში, რაგინდ ვრცელი უნდა იყოს იგი, ყოვლად შეუძლებელია ამ დამსახურებული ეროვნული და მამულიშვილის ღვაწლის ყოველმხრივ წარმოჩენის მცდელობაც კი, თუმცა ეს მწირი ინფორმაციებიც გარკვეულწილად არ უნდა იყოს უინტერესო.

დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხების, ანუ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ბატონი კონსტანტინე, ეროვნული მთავრობის სხვა წევრებთან ერთად საფრანგეთს მიემგზავრება ემიგრაციაში, სადაც იგი განაგრძობდა დაუცხრომელ მეცნიერულ-საგამომცემლო მუშაობას.

გვაქვს საშუალება, მკითხველს იმ წერილების წიგნების სახელწოდება მივაწოდოთ, კონსტანტინე კანდელაკის ავტორობით რომ გამოიცა და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

...

"ჭიათურის შავი ქვის ბედი", "ომი და მომავლის პერსპექტივები", "საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებიდან", ჩვენი ყოფაქცევა სამშობლოს განთავისუფლების საქმეში", "მონოგრაფია-საქართველოს ეროვნული მეურნეობა, I ტომი" და ა. შ.

1958 წლის 11 ოქტომბერს, შვეიცარიაში სამკურნალოდ მყოფი კონსტანტინე კანდელაკი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იგი გადაასვენეს ლევილში, სადაც მისი ცხედარი 18 ოქტომბერს უცხო ქვეყნის მიწაში ჩაუშვეს.

"...მამა ილიას მიერ გადახედილი წერვის და პანაშვიდის შემდეგ, ქართული გუნდის გალობის თანხლებით, გაასვენეს. სიტყვა წარმოთქვა აკაკი ჩხენკელმა. წაიკითხეს წერილები და დეპეშები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნეშტი მიწაში ჩაუშვეს". – წერს ერთგან ბატონი გურამ შარაძე, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრების შესწავლისა და ჩვენამდე მოტანის საქმეში.

# წყალკურთხევის ფანჩატურზე ჯვარი აღიმართა

ქეთევან ზედგინიძე





სამტრედიის დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსთან დაკავშირებით 5 მაისს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი გავხდით. წყლის კურთხევის ფანჩატურზე ჯვარი აღიმართა. ამით, როგორც ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი ჯონი ნადირაძე გვეუბნება, ამ ნაგებობის დასრულებისთვის ყველაზე მთავარი მომენტი დადგა. იდეა, ათონის მთის ივერთა მონასტრის მსგავსად, წყალკურთხევის ფანჩატური ტაძრის ეზოშიც დაედგათ, საკათედრო ტაძრის არქიტექტორს, რეზო ჯანაშიას, ეკუთვნის.

"ბატონი რეზო იყო უპირველესი არქიტექტორი თანამედროვე საეკლესიო არქიტექტურაში. სამწუხაროდ, იგი გასულ წელს კოვიდით გარდაიცვალა 78 წლის ასაკში. ჩვენ გავაძლიერეთ მუშაობა და უახლოეს პერიოდში მის მიერ შემოწირული პროექტი – წყალკურთხევის ფანჩატური მალე დასრულდება. დარჩენილია იატაკის დაგება და 600 ლიტრიანი წყლის ავზის დამონტაჟება. ავზი ნაკურთხი წყლით ივსება, რომელსაც ოთხივე მხარეს ონკანი ექნება. წყლის კურთხევა, რომელიც აქამდე ტაძარში სრულდებოდა შესაბამის დღესასწაულებზე, ამიერიდან წყალკურთხევის ფანჩატურში ჩატარდება. აქ მუდმივად იქნება ნაკურთხი წყალი, რომლის წაღებაც ყოველთვის შეეძლება მრევლს. როგორც ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ამბობს, ყოველდღიურად უნდა მიიღოს ყველამ ნაკურთხი წყალი, რათა გაწმინდონ თავიანთი ცხოვრება და გახდნენ ბედნიერები."

ბატონი ჯონი ნადირაძე განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს სამტრედიელებისათვის კარგად ნაცნობი პიროვნების, გიგა გელოვანის, მიმართ. ჯვარი, რომელიც წყალკურთხევის ფანჩატურზე აღიმართა, მან დაამზადებინა ბრინჯაოს მხატვრულ ოსტატს ოლეგ გელაშვილს და შესწირა ტაძარს.

"გიგა გელოვანი არის შესანიშნავი სამტრედიელი. ეს კაცი მზად არის, რაც სჭირდება ტაძარს, ყველაფერი გააკეთოს. რამდენიმე წლის წინ სამრეკლოზე ჯვარი აღვმართეთ, ისიც მან შემოსწირა. ახლაც. შემოსწირა ზარები. რომ იტყვიან, მას დაებედა ასეთი ქველმოქმედება. გიგა აქტიური მრევლია. ჩემთან და ჩემს მეგობრებთან ერთად არის საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა ორგანიზაციის სამტრედიის საღრმოს დირსეული წევრი." – აღნიშნავს ჯონი ნადირაძე.

ჯვრის აღმართვის სამუშაოები შეასრულა საკათედრო ტაძრის მშენებელთა ბრიგადამ სულიკო ჭკუასელის ხელმძღვანელობით, მურაბ თევზაძის, ზვიად ოსიგაშვილისა და ჯამბულ გურაბის მონაწილეობით.

# რა ვუთხრა, ბიჭო, დედაშენს!

თეა ბაბუნაშვილი

78 წელი გავიდა მას შემდეგ... ფაშიზმი მსოფლიომ 78 წლის წინ დაამარცხა მეორე მსოფლიო ომში. ჩვენთვის სამშობლო იყო მაშინ ის ომი, დიადი საბჭოეთის დროშის ქვეშ გაერთიანებული 15 რესპუბლიკიდან ერთ-ერთი გახლდით და იმიტომ. 700 ათასი ქართველი წავიდა და 300 ათასი დაიღუპა ქარცეცხლიანი დღეების ოთხწლიან ჯოჯოხეთში. წლების მერე აღარც საბჭოეთი აღმოჩნდა დიადი და 15 რესპუბლიკიანი ერთობაც მარილივით ჩაეფშვნა ხელში სიდიადეს მიჩვეულ საბჭოურ ხუხულას. თუმცა, მისი რღვევაც საქართველოდან დაიწყო, თავისუფლებისმოყვარე ერი ბრძოლაში ყოველთვის პირველი გახლდათ! ჯარისკაცის მამაც ქართველი იყო, "რა ვუთხრა ბიჭო, დედაშენს!" – ქართულად კვნესოდა მამის გული. შვილის მოსახვეწელ გზას ცრემლგამშრალი თვალებით გასცქეროდა შავებით მოსილი დედა...

სამშობლო აღარ არის და ფაშიზმზე გამარჯვების დღეს აღნიშნავენ 9 მაისს საქართველოში, როგორც სიკეთით დაძლეული ბოროტების სიმბოლოს. იმ ადამიანებისთვის კი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები რომ ჰქვიათ და სულ 140 დარჩა ქვეყნის მასშტაბით, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება ყველაფერია – მამულისთვის დაღვრილი სისხლი, ბოროტებაზე გამარჯვების სიხარული, დედამიწაზე გამოვლილი ჯოჯოხეთი და რაიხსტაგზე აღმართული დროშის აღმაფრენა.

1945 წლის 9 მაისის შემდეგ შინმოუსვლელის მემორიალი ყველა ქალაქსა და სოფელში აიგო საქართველოში.

ყველგან, ქვეყნის მასშტაბით, და რა თქმა უნდა, სამტრედიაშიც, ყვავილებით შემკო ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

შინმოუსვლელის დედის ძეგლთან ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნად სამტრედიაშიც შეიკრიბნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვადასხვა სამსახურებში დასაქმებული ადამიანები, სამტრედიელი მოქალაქეები. "78 წელი გავიდა ფაშიზმის დამარცხებიდან. მეორე მსოფლიო ომში ჩვენმა წინაპრებმა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოლეს. მაშინდელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესული საქართველოდან ყველაზე მეტი ქართველი იბრძოდა და დაიღუპა ამ ომში. 9 მაისი არის დღესასწაული, რადგან ჩვენმა წინაპრებმა დაამარცხეს ბოროტება, გაიმარჯვეს ფაშიზმზე და ჩვენი ზნეობრივი ვალია, რომ არ მოხდეს მეორე მსოფლიო ომის შესახებ ინფორმაციის დამახინჯება. ფაშიზმის თანამედროვე ინტერპრეტაცია, თუნდაც სხვადასხვა სახით შენიღბული, არ უნდა გაურცელდეს საზოგადოებაში. ბოროტებას ჰქვია ბოროტება და სიკეთეს – სიკეთე! მადლობა ჩვენს წინაპრებს მსოფლიო ბოროტებაზე გამარჯვებისთვის!" – ამბობდა მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე შინმოუსვლელის მემორიალთან. საზოგადოებას დღესასწაული მიულოცეს საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ და გამგებლის მოადგილე ლადო ზაქრაძემ.

სამტრედიაში მხოლოდ ერთადერთი ქალბატონი, ტატიანა ნეფეწეცი შემორჩა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთაგან. 18 წლისა წავიდა ომში მედდად უკრაინელი ახალგაზრდა გოგონა. ნაბაკევლელი მიხეილ ჯულუხიძისა და მისი სიყვარული ომის ქარცეცხლში დაიბადა, მის მრისხანებას გაუძლო და მერე უკრაინიდან შორს, სამტრედიის ლამაზ სოფელში გაგრძელდა. ოთხი შვილი გაიზარდა მათ ფუძეზე. 101 წლისა გახდება 1922 წელს დაბადებული ტატიანა ნეფეწეც-ჯულუხიძისა 22 მაისს. საუკუნეს დაჯაბნა ომის დამჯაბნელმა ქალბატონმა, კარგი შვილების დედობასთან და ქართველების სამაგალითო რძლობასთან ერთად. შვილების ქართველებად აღსაზრდელად ქართული ჯერ თავად ისწავლა, თუმცა დედულეთიც შეაყვარა მათ.

მისი მონახულების გარეშე როგორ იქნებოდა და მუნიციპალიტეტის მერი თაიგულით ხელდამშვენებული ესტუმრა აკაციების სიმწვანეში ჩამალულ ჯულუხიძეების კარმიდამოს. პრემიერ-მინისტრისგან ვეტერანებისთვის გამოყოფილ ათას ლარს ადგილობრივი ბიუჯეტიდან კიდევ ათასი დაემატა. ეს საჩუქარი ომის ვეტერან ქალბატონს მუნიციპალიტეტის მერმა გადასცა. პრეზიდენტისგან კი 300 ლარიანი ვაუჩერით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა სამტრედიაში, ედუარდ ახობაძემ დაასაჩუქრა.

ამ დილით "დენ პობედი" ჩავურთეთ, გვითხრეს ომის ვეტერანი ქალბატონის ოჯახში მისულებს. მისთვის 9 მაისი "დენ პობედია", ასე, რუსულად "დენ პობედი" და მორჩა! ამ სიხარულის იქეთ არ არსებობს სხვა არაფერი. თუმცა... თუმცა ვინც ის დღეები გამოიარა, მასთან სხვაგვარად საუბარი უხერხულიცაა... ამიტომ ტატიანა ნეფეწეც-ჯულუხიძე ასე აღნიშნავს 78-ედ ფაშიზმზე გამარჯვებას და ჯოჯოხეთის დამარცხებას დედამიწაზე!



# 8 თუ 9 მაისი? _ როდის და როგორ იზეიმეს გამარჯვების დღე საბჭოთა კავშირში პირველად?

9 მაისს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცეში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე აღინიშნება. თუმცა თვითონ 9 მაისი საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი თარიღია. 8 თუ 9 მაისი? საქმე ის არის, რომ ნაცისტური გერმანიის კაპიტულაციას 7 მაისს, საფრანგეთის ქალაქ რეიმსში, მოკავშირეების მთავარსარდლის, დუაიტ ეიზენჰაუერის შტაბში მოეწერა ხელი. გერმანელთა მხრიდან ხელს აწერდა გენერალ-პოლკოვნიკი ალფრედ იოდლი. აღსანიშნავია, რომ კაპიტულაციის მოლაპარაკებები 4 მაისს დაიწყო, მასში საბჭოთა კავშირიდან გენერალი სუსლოპაროვი მონაწილეობდა, თუმცა დოკუმენტს საბოლოოდ ხელი მხოლოდ მოკავშირეებმა მოაწერეს, რადგან სტალინმა შეთანხმების ტექსტში შესწორების შეტანა მოითხოვა. თუმცა ფაქტია, რომ გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა სწორედ 7 მაისს აღიარეს საერთო კაპიტულაცია მოკავშირეთა წინაშე. კაპიტულაციის დოკუმენტი ხუთი პუნქტისგან შედგება. მასში წერია, რომ გერმანია მოკავშირეთა ძალებს და სამხედრო სარდლობას ნებდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ერთადერთი კაპიტულაციის აქტი არ არის. რომელიც გაფორმდა, სტალინის მოთხოვნით, ფაქტობრივად, იდენტური შინაარსის კაპიტულაციას ხელმეორედ მოეწერა ხელი 8 მაისს ღამით, ბერლინის ოლქში, კარლსჰორსტის საბჭოთა შტაბ-ბინაში. ამჯერად ხელშეკრულებას გერმანიის მხრიდან ხელს აწერდა ფელდმარშალი კაიტელი (ფელდმარშალი გენერლის უმაღლესი რანგი იყო), საბჭოთა კავშირის მხრიდან კი – მარშალი ჟუკოვი. სტალინის მოთხოვნით ხელმოწერილი დოკუმენტი ყველა მხარემ ცნო და აღიარა. გერმანული ძალების სამხედრო აქტივობა 8 მაისს, საღამოს 23:01 საათზე ოფიციალურად შეწყდა. ამ დროს კი მოსკოვში, ისევე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში 9 მაისის, 01:01 საათი იდგა.

კაპიტულაციის ხელმოწერა კარლსჰორსტში – აქედან გამომდინარე, ფაშიზმზე გამარჯვებას ევროპაში 8 მაისს აღნიშნავენ, პოსტსაბჭოთა სივრცის დიდ ნაწილში დღემდე – 9 მაისს. როდიდან და როგორ აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირში გამარჯვების დღეს? 1945 წლის 9 მაისს მთავრობამ ოფიციალური ღონისძიების დაგეგმვა ვერ მოასწრო, თუმცა ხალხმა თავად იზეიმა. გამოვიდნენ ქუჩებში, ერთმანეთს ეხუტებოდნენ, ერთობოდნენ, ცეკვავდნენ. ცნობილი აღლუმი თითქმის ერთი თვის შემდეგ, 24 ივნისს ჩატარდა. ომის ყველა ფრონტის წარმომადგენლებისაგან სპეციალური პოლკი შეიქმნა. სპეციალურად ამ დღისთვის ახალი ფორმები შეიკერა, მათ შორის ახალი ნიშნებიც. მეტიც, ჯარისკაცებს დიდი ენთუზიაზმით და მოთხოვნებით არჩევდნენ. ისინი გამარჯვების განსახიერება უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი დაწესებული სტანდარტი იყო, რომ ყველა სამხედრო, რომელიც მონაწილეობას იღებდა 1.7 მეტრზე დაბალი არ უნდა ყოფილიყო. აღლუმს კონსტანტინე როკოსოვსკი მართავდა, ჩაბარებით კი – მარშალმა ჟუკოვმა ჩაიბარა. ამბობენ, რომ აღლუმის ჩაბარება თავად სტალინს სურდა. მეტიც, ის დაჩქარებულ რეჟიმში სწავლობდა ჯირითს, თუმცა საბოლოოდ გადაიფიქრა. აღლუმზე გრანდიოზული ავიაშოუც უნდა გამართულიყო, რომლის დროსაც სხვადასხვა ტიპის 570 თვითმფრინავი უნდა აფრენილიყო მოსკოვის ცაზე, ხოლო "სტალინის შევარდნების" რიგის სიგრძე 30 კმ-ზე უნდა გადაშლილიყო. თუმცა უამინდობის გამო აღლუმის საჰაერო ნაწილზე უარი თქვეს – 24 ივნისს მთელი დღე წვიმდა.

მაისის აღნიშვნა მხოლოდ 3 წელიწადი გაგრძელდა. 1948 წლიდან ის ჩვეულებრივ დღედ იქცა. რა თქმა უნდა, ამ დღეს ეროვნული ზეიმის ხასიათი მაინც შერჩა, თუმცა ოფიციალურად სამუშაო დღე იყო არავითარი აღლუმები აღარ ეწყობოდა. მომდევნო წლიდან ომის ვეტერანებს პრემიებსაც კი აღარ უხდიდნენ. ერთადერთი პრივილეგია რაც ქონდათ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასო მგზავრობა იყო.

ამის მიზეზი რამდენიმე იყო. მათ შორის, ამბობდნენ, რომ ქვეყანას ყველა რესურსი ეკონომიკის აღდგენაზე უნდა გადაეხროლა, ამიტომაც დღესასწაულზე უარი ითქვა. თუმცა ბევრი ისტორიკოსის აზრით, სტალინი სამხედრო ხელმძღვანელობის მზარდ ავტორიტეტს უფრთხოდა – პირველ რიგში, მარშალ ჟუკოვის. გამოდიოდა, რომ 9 მაისს მათ განსაკუთრებულ როლს ახსენებდნენ, ფრთხილ სტალინს კი ეს ძალიან აღიზიანებდა. ბელადის მმართველობის შემდეგ წლებშიც ასე გრძელდებოდა. არ შეიცვალა სიტუაცია არც ხრუშჩოვის დროს. ნიკიტა სერგეევიჩი ომის პერიოდში საკუთარი მოღვაწეობით დიდად ვერ დაიკვეხნიდა, თანაც ჟუკოვთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. 9 მაისი, როგორც საერთო ზეიმი კი აღინიშნებოდა, თუმცა სამხედრო აღლუმები არ ტარდებოდა და ოფიციალურად დასვენების დღეც არ იყო. მხოლოდ 1965 წელს, ლეონიდ ბრეჟნევის ინიციატივით 9 მაისს დღესასწაული ისევ შემოიღეს. პირველ რიგში იმიტომ, რომ 1965 წელს გამარჯვების 20 წლის იუბილე იყო. მეორე რიგში, ბრეჟნევი ომის ვეტერანი გახლდათ, რომელიც საბრძოლო მოქმედების დროს დაჭრეს. მესამეც, ჟუკოვის მხრიდან საფრთხე აღარ არსებობდა. ის უკვე კარგა ხნის წასული იყო თანამდებობიდან, თანაც სამხედრო მაღალჩინოსნები პოლიტიკაში აღარ ერეოდნენ. 1965 წლის სამხედრო აღლუმი პირველი აღლუმი იყო, რომელიც 9 მაისს ჩატარდა. შემდეგი აღლუმი კიდევ 20 წლის შემდეგ ჩატარდა. "პერესტროიკის" პერიოდი იყო და ხელმძღვანელობას საზოგადოებისთვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ წარსულთან და ტრადიციებთან კი არ წყვეტენ ბმას, არამედ მხოლოდ შესწორებები შეჰქონდათ. შემდეგ იყო დიდი პაუზა და 1990 წლის გაიმართა სსრკ-ს უკანასკნელი აღლუმი. ისევ და ისევ პოლიტიკური მიზეზების გამო. კავშირი სულს ღაფავდა და იშლებოდა. კრემლს რაღაც ღონისძიებების სჭირდებოდა, რომელიც რესპუბლიკების გამაერთიანებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, კავშირი ამან დაშლისგან ვერ გადაარჩინა. 1995 წელს, ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლის იუბილე აღლუმით უკვე რუსეთმა აღნიშნა. ამ წლიდან მოყოლებული აღლუმმა ყოველწლიური სახე მიიღო, თუმცა ტექნიკა აღარ გამოჰყავდათ.

2008 წელს რუსებმა გადაწყვიტეს, რომ მსოფლიოსთვის სამხედრო ძალის დემონსტრირება იყო საჭირო და "პარადს" ტექნიკაც დაამატეს. იმავე წელს საქართველოში შემოიჭრნენ... რუსეთი დღეს ისეთივე ფაშისტური სახელმწიფოა, რაზეც გამარჯვებას ასე გულმოდგინედ ზეიმობს.

# ბავშვობაშივე ასრულებული ბავშვობის ოცნება

თეა ბაბუნაშვილი

*ბავშვობის ოცნება ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის გზაგასაყარზე აუსრულდა! უფრო სწორედ, კი არ აუსრულდა, აისრულა და ამისთვის ბევრი იშრომა. საქმე ის არის, რომ ეს ოცნება სულაც არ ყოფილა მეოცნებე ფერად, მდიდრულ მომავალზე. მიზანდასახული და თავიდანვე გაცნობიერებული იყო საკუთარ თავთან დადებული ხანაძლევით – მე ამას შევძლებ! სრულფასოვანი განათლების უცხოეთში მიღების სურვილი ჰქონდა გურამიკო შენგელიას. გურამიკოს, რადგან როცა ეს მიზანი დაისახა, ნაბაკევის საჯარო სკოლის პირველ კლასში შედიოდა და გურამიკოს ეძახდნენ. მისი პირველი კლასის პედაგოგმა თამარ ჯულაყიძემ მაშინდელი ჩანაწერები რომ მოიძია უკვე დამამთავრებელი კლასის გამოსაშვები საღამოსთვის, გურამ შენგელიას სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელება ეწერა ასასრულებელ ოცნებად. ჯერ კიდევ გურამიკოა და ალბათ, ასე დარჩება მისი ახლობელ-მეგობრებისთვის, იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეძვირფასებათ იგი. მაგრამ მალე გურამ შენგელია გახდება, პატივსაცემი ადამიანი და კარგი მამულიშვილი. ეს კი, როგორც იტყვიან, "კოჭებში ეტყობა".*

უკვე ყველამ იცის, პირველი ემოციები გადავლილია და მილოცვები მიღებული. მაგრამ იმდენად საამაყო ამბავია, ბევრი და ბევრგან უნდა დაიწეროს – 17 წლის გურამ შენგელიას შვიდმა უცხოურმა უნივერსიტეტმა შესთავაზა დაფინანსება სწავლის გასაგრძელებლად! ჯამში ეს თანხა თითქმის 500 000 დოლარია.

"ვიცოდი, რომ საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ აპლიკანტის კლასგარეშე აქტივობას. ბუნებრივია, არც სასწავლო დისციპლინების შესწავლას ვუთმობდი ნაკლებ დროს. თუმცა, სწორედ კლასგარეშე აქტივობამ გამომარჩია და უცხოური უნივერსიტეტების ჩემით დაინტერესება აქედან დაიწყო." – ასე იწყებს საკუთარ წარმატებაზე საუბარს გურამ შენგელია. კლასგარეშე აქტივობებზე საუბრისას მისი საყვარელი პედაგოგის, ნანა ნომასიძის დამსახურებასაც იხსენებს. პირველად მან მითხრა, კონკურსი ცხადდება და ხომ არ დაინტერესდებოდი.

ჯერ ისევ 12 წლის გახლდათ, ეკოკლუბის წევრი რომ გახდა. ამ კუთხით არაერთ პროექტში მიიღო მონაწილეობა. მას კლუბის ლიდერის სტატუსი მიენიჭა და ბუნებრივია, მისი აქტიურობა კლიმატის ცვლილებებისა და კატაკლიზმების კვლევის კუთხით, ერთიორად გაორმაგდა. 2022 წლის სექტემბერში კლიმატის ელჩის სტატუსი მიენიჭა. "პირველი პროექტი, რომელშიც ჩავერთე, იყო "კლიმატის ელჩები", გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გამოცხადებული. აპლიკაციის შევსებისა და შესაბამისი ვიდეორგოლის გაგზავნის შედეგად



დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ პირველი ეტაპი გადავლახე და გასაუბრება უნდა გამევლო." გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ, ბაკურიანში შესაბამისი გადამზადება გაიარა მეგობრებთან ერთად, სადაც იმუშავეს პროექტზე "კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფები". გაუფრთხილდნენ დედამიწას ეკოლოგიური თვალსაზრისით, ამ ახალგაზრდების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. დაკავებულია საქველმოქმედო საქმიანობით. მეგობრებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია "ERI-Team" ჩამოაყალიბა. ამ ყველაფრის პარალელურად იგი "კუთქუთ" გაცვლითი პროგრამების მონაწილე და გამარჯვებული გახლავთ.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თორემ გურამის კლასგარეშე აქტივობების ჩამონათვალი დიდია.

მათემატიკა მისი ყველაზე საყვარელი საგანია. ფიზიკა და გეოგრაფიაც ძალიან აინტერესებს. ინგლისური ენა იმდენად კარგად იცის, რომ ენის ცოდნის ყველა საჭირო კომპეტენციის უმაღლესი ქულებით აკმაყოფილებს.

რაც შეეხება უკვე აბიტურიენტ გურამ შენგელიას ამ დიდ წარმატებას, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა "Erasmus+"-ის გაცვლით პროგრამაზე შეავსო აპლიკაცია. რამდენიმე დღეში დაუკავშირდნენ როგორც გამარჯვებულს და გერმანიაში გაემგზავრა შესაბამისი პრეზენტაციისთვის. თემა დისკრიმინაცია გახლდათ. როგორც ის ამბობს, გერმანიაში გატარებული დღეები, ჯგუფური, წყვილში და ინდივიდუალური მუშაობის გამოცდილებით, ბევრი საჭირო ახალი უნარის გამომუშავებაში დაეხმარა. გერმანიში მისი გამგზავრების ორგანიზატორი ორგანიზაცია "ნწგარ სუჩეეკ წა უწკპმუ"-ით მიერ გამოცხადებულ კიდევ ერთ გაცვლით პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. ამჯერადაც წარმატების შედეგად, იენისში ლატვიაში გაემგზავრება, რადგან გურამ შენგელია ამ პროექტის გამარჯვებულიც გახლავთ.

ვებსტერის ჟენევის, ვებსტერის ლეიდენის კამპუსი ნიდერლანდებში, ალფრედისა და კენტუკის უნივერსიტეტები, ალბიონის კოლეჯი, კონკორდის უნივერსიტეტი, ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტი. ჯამში 482 ათასი დოლარით დააფინანსებენ გურამ შენგელიას სწავლას. გურამს ნებისმიერი შერჩევა შეეძლო. აქედან მან არჩევანი ბულგარეთის ამერიკულ უნივერსიტეტზე შეაჩერა იმიტომ, რომ იგი იძლევა როგორც ამერიკულ, ისე ევროპულ დიპლომს. უნივერსიტეტი მისი განათლების მიღებას 46 ათასი ევროთი დააფინანსებს. სწორედ ამ უნივერსიტეტმა მისცა საშუალება გურამს, ძვირადღირებული გამოცდა, ინგლისური ენის კომპეტენციის განსასაზღვრად, უფასოდ ჩაებარებია. ესე, რომელიც გურამმა ამ გამოცდისთვის დაწერა, ლეონარდო დავინჩისა და რენესანსის ეპოქას ეძღვნებოდა. "დავინჩის კოდი" მისი შთაგონების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს. თვლის, რომ ზოგადად, ეს



ეპოქა და დავინჩის ეს უკვდავი ნაწარმოები კაცობრიობის ისტორიისა და მომავლის აპოგეაა, მასში კაცობრიობის არსებობის კოდი და შინაარსი დევს.

გადაწყვიტა: ბულგარეთის ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლას ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე გააგრძელებს და მარკეტინგით დაინტერესდება. "ჩემი ოცნებები ამერიკას უკავშირდება. იქ ამ ოცნებებს ავიხდენ და შემდეგ გამოცდილებასა და ცოდნას ჩემს სამშობლოს, ჩემს პატარა ქალაქს მოვახმარ. ასეთია ჩემი გეგმები. მთავარი მიზნის სწორად დასახვაა. შემდეგ კი, როცა იცი რა გინდა, ყველანაირი დაბრკოლების მიუხედავად, – მის მისაღწევად ყველაზე რთული გზებით სიარული." – თვლის გურამ შენგელია, თუმცა იმასაც დასძენს, რომ წინასწარ საუბარი არ უყვარს, როცა ხელში შესაბამისი განათლების დამადასტურებელი საბუთი ექნება, მერე ისაუბრებს იმაზე, თუ რა არის სამომავლო გეგმა.

საკუთარ წარმატებებზე წარმატებულმა ბიჭმა მუნიციპალიტეტის მერის კაბინეტში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა. ეს საამაყო ამბავი, მას მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ, საკრებულოს ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი მელაშვილმა, მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ნაქო მანჯგალაძემ და მერის თანაშემწე ვაჟა გრიგალაშვილმა პირადად მიულოცეს. ვაჟა გრიგალაშვილი გახლდათ კიდეც ამ შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი. რადგან მისთვის, როგორც ნაბაკევის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულისთვის, განსაკუთრებით სასიხარულოა გურამ შენგელიას წინსვლა, მით უმეტეს, რომ: "გურამი იმ წელს შევიდა სკოლაში, როცა მე გამოსაშვები კლასის მოსწავლე ვიყავი და სკოლა დავამთავრე. ამიტომ, გამორჩეულად მახარებს მისი წარმატებები და კიდევ ბევრ მსგავს სიახლეს ვუსურვებ ამ შრომისა და სწავლის მოყვარე ახალგაზრდას." – ამბობდა იგი შეხვედრაზე.

"მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ცოდნის მიღების წყურვილი სულ უფრო გაუმძაფრდეთ. სასიხარულო ამბავი გვაქვს ამ კუთხით, გურამ შენგელია ბულგარეთის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მადლობა მას, მის მშობლებსა და სკოლას. სასიამოვნოა ასეთი სიახლეები. წარმატებები ამ შრომისმოყვარე ახალგაზრდას. მან და მისმა თანატოლებმა უნდა განსაზღვრონ ხვალ ქვეყნის მომავალი და ამიტომ ორმაგად პატივსაცემია ეს მონდომება." – ამ სიტყვებით მუნიციპალიტეტის მერმა მცირე საჩუქარი გადასცა იმ დღის მთავარ გმირს. კეთილი სურვილები შეხვედრის ყველა მონაწილემ გაატანა გურამს გულწრფელი სიხარულით.

გელა შენგელია და ეკა ჯამბურია, გურამის მშობლები, ის ადამიანები არიან, ვისაც ყველაზე უფრო ახარებთ სამშვილიანი ოჯახის ნაბოლარას მიღწევები. მათ ბევრს უმადლის გურამი – ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში გვერდით მედგნენ, ამბობს მშობლებზე. ამაგი უკვე დაუფასა ოჯახს, თუმცა, ეს ზღვაში წვეთია იმ წარმატებებთან შედარებით, გურამ შენგელია რომ მოუტანს ქვეყანას, რადგან კარგად იცის, რომ სამშობლოში ოჯახის, მის ფარგლებს გარეთ კი, სამშობლოს ღირსება!

# მურმან კაშიას ტურნირმა ნიჭიერი მათემატიკოსები გამოავლინა

ნათია ნაცვლიშვილი

*სამტრედიის მუნიციპალიტეტში უკვე მეოთხე წელია, იმართება ღირსეული სამტრედიელის, მათემატიკოს მურმან კაშიას სახელობის მათემატიკური ტურნირი. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ინიციატორი მურმან კაშიას მეუღლე გახლავთ. ტურნირის გამართვის ადგილი კი, ბუნებრივია, პირველი საჯარო სკოლაა, სადაც ლეგენდარული მასწავლებელი თაობებს ზრდიდა და ამ ურთულესი საგნის მადლს აზიარებდა! ამ საპასუხისმგებლო საქმეს კი, პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი, გოჩა გაბუნია უდგას სათავეში, მას გვერდით უდგანან სამტრედიის საჯარო სკოლების მათემატიკის პედაგოგები და ერთობლივად ემსახურებიან როგორც მურმან კაშიას ღვაწლის უკვდავყოფას, ისე მომავალი თაობის მათემატიკით დაინტერესების საქმეს.*



"სამტრედიის მაცნე" წელსაც ესტუმრა პირველ სკოლას, სადაც ნიჭიერი მოსწავლეები ერთმანეთს მათემატიკის ცოდნაში შეეჯიბრნენ. კითხვების ავტორი გოჩა გაბუნიაა. როგორც პედაგოგებმა გვითხრეს, შეჯიბრება მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასელთა შორის გაიმართა. კონკურსმა საპრიზო ადგილებზე გასულნი გამოავლინა. დაძაბული ინტელექტუალური შერკინების შემდეგ ადგილები ასე გადანაწილდა:

მეშვიდეკლასელთა კატეგორიაში პირველ ადგილზე ელვარე გამარჯვებით დაგვამახსოვრა თავი მეთერთმეტესკოლელმა მათე ჭკადუამ, რომელმაც 15-დან 15-ივე ქულა მოიპოვა! მეორე ადგილი მე-11 სკოლელ დიმა დალალიშვილს, მესამე კი, პირველსკოლელ ვანო ახობაძეს ერგოთ.

მერვე კლასში პირველ ადგილზე მესამესკოლელი სოფო ცივცივაძე გავიდა, მეთერთმეტესკოლელი ნინო ჩაჩუა მეორე ადგილის მფლობელია, მესამეზე კი, მესამესკოლელი რომა კოპალეიშვილი გავიდა.

მეცხრეკლასელთა კატეგორიაში გაიმარჯვა მესამესკოლელმა ეკატერინე კირვალიძემ. მეორე ადგილის მფლობელი მეორესკოლელი მარია ქუტაევაა, მესამე ადგილს კი, მეთერთმეტე საჯარო სკოლელი ანა კოპალეიშვილი დაეუფლა.



პედაგოგებს ტურნირის მიმდინარეობის შესახებ გავესაუბრეთ:

ნანა ქოჩიაშვილი, პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი: მე და ბატონი მურმან კაშია ერთ სკოლაში ვმუშაობდით წლების განმავლობაში. ის იყო საუკეთესო თვისებებით შემკული და დიდი ცოდნით გამორჩეული პიროვნება. ძალიან მიხარია, რომ ეს ტურნირი ტარდება ჩვენს სკოლაში, მადლობა ქალბატონ ლუიზას, ბატონი მურმანის მეუღლეს, რომ ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს. ის გადასცემს გამარჯვებულ ბავშვებს პრიზებს, ძალიან დიდი სურვილი აქვს, რომ ეს ტურნირი გაგრძელდეს, ჩვენც ძალიან გვიხარია და ბავშვებიც ძალიან მონდომებულნი არიან.

— ქალბატონო ნანა, რა უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ გეოგრაფიული არეალი გავზარდოთ და სოფლის სკოლების ნიჭიერმა ახალგაზრდებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ ტურნირში?

— ყველა სკოლა ინფორმირებული იყო. რატომღაც ეს იყო მასწავლებლების დაუინტერესებლობა, ალბათ. ძალიან კარგი იქნება, თუ ტურნირში მეტი ბავშვი ჩაერთვება, სოფლის სკოლებს ყოველთვის უძლიერესი კონტინგენტი ჰყავს!

შალვა წულაია, მესამე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი:

— ბატონო შალვა, თქვენ გვერდით უდგეხართ გოჩა მასწავლებელს, შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერებით. ამდენი ბავშვის ამ რთული საგნით დაინტერესებით, ალბათ, მიზანი მიღწეულია, რას ემსახურება ტურნირი?

— მსგავსი შეჯიბრებები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები, საკუთარი უნარ-ჩვევები უფრო განავითარონ და მათემატიკურ ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთონ. მათ ამით უნდა გაუძლიერდეთ მოტივაცია და უნდა შეძლონ უკეთესი შედეგების მიღება, იმუშაონ საკუთარ თავზე, გააუმჯობესონ შედეგები.

ჩემი აზრით, წელს მეტი მოსწავლე ჩართული და შარშანდელთან შედარებით შედეგებიც უკეთესია. ძირითადად, წლეულს მოსწავლეები ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან არიან და კარგი იქნება, სხვა სკოლებიდანაც თუ ჩაერთვებიან მონაწილეები. სამი გამარჯვებული გამოვავლინეთ თითოეული კლასიდან და გადავეცით მათ შესაბამისი პრიზები.

ვერიკო ჯიჯელავა სამტრედიის კორიფე მასწავლებელია, იგი პირველი მენტორი მასწავლებელია სამტრედიაში. მას რამდენიმე წელია ვხედავთ მისი შვილების თაობის პედაგოგთა გვერდით, საერთო საქმის დიდი სიყვარულით და ერთგულებით. რას ემსახურება ეს ტურნირი და რით განსხვავდება ის შარშანდელი ტურნირისგან? — ამ კითხვით მივმართეთ ქალბატონ ვერიკოს.

ვერიკო ჯიჯელავა: — ეს ღონისძიება სამტრედიის გამორჩეული მათემატიკოსის ხსოვნის უკვდავყოფას ემსახურება. ბატონი მურმან კაშია საუკეთესო სპეციალისტი და პიროვნება იყო. სასიხარულოა, რომ მისი მშობლიური სკოლა არ ივიწყებს მას და ასეთ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, ყოველწლიურად ტარდება ტურნირი, დაინტერესებაც მეტია და ბავშვებმა იმდენად კარგი შედეგები აჩვენეს, გაგვიჭირდა საუკეთესოთა გამოვლენა. მადლობა ამ სკოლას, გოჩა გაბუნია უდიდეს შრომას დებს ამ საქმეში, ჩვენც აგვიყოლია და ვფიქრობ, ტურნირს სასიკეთო მიზანი აქვს!

გამარჯვებული მოსწავლეები მურმან კაშიას მეუღლემ პრიზებით დაასაჩუქრა და პედაგოგებსა და ბავშვებს მადლობა გადაუხადა ასეთი მაღალი დონის ტურნირის გამართვისათვის.

## თავს მდაბლად გიხრით სიკეთის ნიშნად

ლევან ბაბუნაშვა

შუაღამეა, კომუნალური სამსახური სპეცტექნიკის ციმციმას შუქმა ოთახი გაანათა, საათი ორს აჩვენებს. სძინავს ამ დროს ყველას, ვისაც არ უჭირს, ან სპეციფიკური სამსახური არა აქვს. დიახ, შუა ღამით იწყება კომუნალური გაერთიანების მუშაკთა სამუშაო გრაფიკი, რათა ძილიდან გამოსულთ სუფთა, მოწესრიგებული ქუჩები დაგვახვედრონ, ჩვენს კარგ განწყობაზე იფიქრონ. ქალაქში ადრიან გასულს თავაზიანად გვესალმებიან ნაცნობი სახეები და არა მარტო გვესალმებიან, ბედნიერ დღეს გვისურვებენ.

ქმრის სიტყვებს რა გამოელევს კომუნალური გაერთიანების თანამშრომლებისადმი.

თავს მდაბლად გიხრით, ქალბატონებო და ბატონებო, უდიდესი პატივისცემის ნიშნად.

...

ორიოდე წლის წინ ღირსეულმა სამტრედიელმა, რეჟისორმა ქალბატონმა ლორიტა ჯორჯიკიამ ჭაჭავაძის ქუჩაზე, ოფისის წინ შესანიშნავი სკვერი მოაწყო, მხარი მეზობელმაც აუბა და გაზაფხულის კვირაძალზე, აქ ჩაყლას არაფერი სჯობს. დღეს რატომღაც სხვებს ჰგონია, მათი საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე მარტოდმარტო სულისჩამდგმელმა უნდა იზრუნოს. არადა, სულაც არაა ასე, ჩვენს მიერ მზერამიპყრობილ ევროპის ქვეყნებში.

გენიოსი მწერლისა არ იყოს, რა მშვენიერი იქნებოდა სამყარო, მისი კეთილდღეობისათვის ყველა იმას რომ აკეთებდეს, რაც შეუძლია. ახლა ჩვენ უბნის, სოფლების, დაბის, ქალაქის ყველა კუნჭული მოვიაროთ გონების თვალით, რამდენ ადგილზეა მოუწესრიგებელი ლოკაცია, ზრუნვასა და ძალისხმევას რომ საჭიროებს და გულთან საქმის მიტანას.

დაბოლოს, ცალ-ცალკე, კოორდინირებული მუშაობის გარეშე, სასურველი მიზნის მიღწევა საზოგადოებასაც გაუჭირდება და ხელისუფალთაც, ასე რომ, "ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირი" — ამ ხატოვანი ნათქვამის სიცხადეში ეჭვის შეტანა არც ამჯერად შეიძლება.

გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი, მისი ღირსეული წარსული, აწმყო და უკეთესი ნათელი მომავალი!

# „საინტერესო მოგზაურობას გისურვებთ შექსპირის სამყაროში"



ნინო ნანიტაშვილი

ამ სახელწოდებით ინგლისური ენა-ისტორიის ინტეგრირებული ღონისძიება გაიმართა ქალაქის მე-7 საჯარო სკოლაში. პედაგოგებმა, ქეთისო სტურუამ და თეონა კრავეიშვილმა, მონაწილე მოსწავლეებთან ერთად საღამოზე დასასწრებად საგანგებოდ მოიწვიეს სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები, სტუმრები საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან, პედაგოგები სამტრედიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან.

„თეთრი გედის" ულამაზეს დარბაზში მე-16 საუკუნის ინგლისი გააცოცხლეს მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. სცენაზე იდგნენ და უილიამ შექსპირის ენით მეტყველებდნენ ქალაქ სამტრედიის განაპირა მხარეს მდგარი სკოლის ნიჭიერი მოსწავლეები.

დიდებული ინგლისელი პოეტი, მწერალი, ყველასთვის ცნობილი დრამატურგი მსოფლიოში – შექსპირმა შექმნა სონეტები, ტრაგედიები, კომედიები და პოემები. მის ნაშრომებს მიეკუთვნება ცნობილი ნაწარმოებები, როგორიცაა „რომეო და ჯულიეტა", „ოტელო", „მეფე ლირი" და მრავალი სხვა.

მე-7 საჯარო სკოლის ღონისძიება ორენოვანი იყო, ინგლისურ-ქართული.

საღამოზე უილიამ შექსპირის ბიოგრაფია გაჟღერდა; ითქვა, რომ ის 23 აპრილს, 1564 წელს პატარა ქალაქ სტენფორდში დაიბადა. სამტრედიელი ახალგაზრდების ღონისძიებაც სწორედ შექსპირის კვირეულს მიეძღვნა და აპრილის ბოლოს გაიმართა.

სცენაზე თანმიმდევრობით იცვლებოდა მოვლენები, ჯერ იყო შექსპირის ბავშვობა, 13 წლის ასაკში მას სწავლის მიტოვება მოუხდა, რადგან ოჯახს სჭირდებოდა მისი დახმარება.

18 წლის უილიამი დაქორწინდა ენ ჰეთევეიზე, რომელიც შექსპირზე 8 წლით უფროსი გახლდათ. 21 წლის შექსპირი მიემგზავრება ლონდონში და იწყებს სამსახურს. მისი პირველი სამსახური ცხენების მეთვალყურეობა გახლდათ, როცა მაღალი წრის საზოგადოება თეატრში სპექტაკლებს ესწრებოდა. შესაბამისი დროის, ასაკის, მოვლენის ამსახველი კოსტიუმებით მე-7 სკოლელები გვიამბობდნენ შექსპირის მიერ განვლილ ცხოვრებას.

მაყურებლის თვალწინ იშლება შექსპირის მუშაობა თეატრში. ის პიესებს წერს და დგამს სპექტაკლებს დედოფლის დასში. მაგრამ მიწა, სადაც თეატრი იყო განლაგებული, ძვირად ფასობდა, შექსპირს არ ჰქონდა საკმარისი თანხა და თეატრი დაიხურა. ერთ დღეს მათ დაშალეს თეატრი და გადაიტანეს მდინარე თემზის მეორე მხარეს. იქ ხელახლა აშენდა თეატრი და მას უწოდეს „გლობუსი". ძალიან მალე ეს თეატრი გახდა ინგლისის მმართველის, ელისაბედ პირველის საყვარელი ადგილი.

მე-7 სკოლელები წარმოდგენის მსვლელობაში განსაკუთრებულად შეეხნენ და გააცოცხლეს ელისაბედ დედოფლის საქართველოსთან კავშირები. მართალია, ეს არ იყო პირდაპირი კავშირება, თუმცა იყო საგარეო ურთიერთობებიდან გამომდინარე.

მოსწავლეებმა ლამაზად და ნიჭიერად განასახიერეს დედოფლის თეატრის, „გლობუსის" მიერ მსახიობების მიღების სცენა. ახალგაზრდები გამოთქმით კითხულობდნენ ლექსებს. დედოფალი ელისაბედი და შექსპირი კი არჩევდნენ მსახიობებს.

გაცოცხლდა სცენები „ოტელოდან", როდესაც „ბრმა ეშმაკი" დეზდემონას ხელს შემოავლებს, ქალი ცდილობს დაიხსნას თავი, მაგრამ ის კვდება.

სცენის კუთხეში ზის შექსპირის როლის შემსრულებელი, გიორგი არველაძე და ხმამაღლა ფიქრობს კაცობრიობის ისტორიაზე, რომელიც სავსეა მწვავე დაპირისპირებებით, ასევე ფიქრობს ქვეყნის შიგნით ძალაუფლებისთვის ბრძოლის დაუოკებელ განცდებზე. შვილმაც კი, შეიძლება, არ დაინდოს მამა, როცა საქმე ძალაუფლებას ეხება. ამ საკითხზე ფიქრისას შექსპირის შემოქმედებაში იბადება პერსონაჟი, მეფე ლირი, ერთ დროს დიდი ძალაუფლების მქონე და ბოლოს ყველასგან მიტოვებული.



ღონისძიებაზე ახალგაზრდებმა ქართულ-ინგლისურად გვიამბეს სიყვარულზე, რომელიც არ იყო ისეთი სასტიკი, როგორც დეზდემონას და ოტელოს სიყვარული, მაგრამ საბოლოოდ მაინც სამწუხარო აღმოჩნდა. ორი დაპირისპირებული გვარის მოუგვარებელმა პრობლემებმა შეყვარებული ახალგაზრდების სიცოცხლე შეიწირა.

ულამაზესი სანახაობა იყო მეჯლისზე, სადაც მე-7 სკოლელები დიდი მონდომებით ცეკვავდნენ.

ღონისძიების მონაწილეებს არ დავიწყნიათ, ეთქვათ, რომ შექსპირმა ინგლისურ ენას რომანტიზმი შესძინა, ლამაზი და სიღრმისეული გახადა.

შექსპირს ეკუთვნის სიტყვები „ყვავილების წვიმა", „სიყვარული ბრმაა", „ყინული გაალღვე", „არ არსებობს ბოროტი ანგელოზი, გარდა სიყვარულისა", „კარგ გულს ოქროს ფასი აქვს", „ყველაფერი რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის".

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-6, მე-8, მე-9 კლასების მოსწავლეები. საღამოს დასასრულს ღონისძიების წამყვანმა მე-6 კლასის მოსწავლემ, თეკლე თევზაძემ და მე-8 კლასის მოსწავლეებმა ლალი კუკაჩეიშვილმა და ლუკა ჩაჩუამ, მე-9 კლასის მოსწავლემ თაკო მიქაძემ, აღნიშნეს, რომ საქართველოში შექსპირის ტრაგედიების გასცენირება სხვადასხვა თეატრებში სხვადასხვა დროს მოხდა, ხოლო 2023 წლის 28 აპრილს, შექსპირის გარდაცვალებიდან 407 წლის შემდეგ, გენიალური ინგლისელი დრამატურგის ტრაგედიები სამტრედიის მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ იქნა წარმოდგენილი.

წამყვანებმა იქვე გამოთქვეს, რომ მაყურებელი მე-7 საჯარო სკოლის ამ წარმოდგენის ნახვის შემდეგ კვლავ მიუბრუნდება შექსპირის ნაწარმოებებს და გაეცნობა იმ ეპოქის ისტორიას.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: ოტელო – ტატო თევზაძე, დეზდემონა – ლიზი თოძაძე, მეფე ლირი – თორნიკე თევზაძე, მეფე ლირის ქალიშვილები – ანი ცისკარაძე, თაკო ხუნდაძე, მარიამ ქობულაძე; ჰამლეტი – ერეკლე ნანაძე, დედოფალი ელისაბედ I – მედეა ქანთარია, დედოფლის მხლებელი – ნიკოლოზ ჯუღაშვილი; ბენვოლიო – ნიკა კაცაძე, ტიბალტი – გუგა გიგაური; კაპულეტი – ლუკა დათიაშვილი; რომეო და ჯულიეტა – თემო ქართველიშვილი და თეკლე თევზაძე; უილიამ შექსპირი – გიორგი არველაძე; წამყვანები – ლალი კუკაჩეიშვილი, ლუკა ჩაჩუა, თეკლე თევზაძე, თაკო მიქაძე; მუსიკოსები, ძმები დემეტრე და თომა კრავეიშვილები.





ღონისძიების ბოლოს მე-7 საჯარო სკოლის მიერ მომზადებულ შექსპირის საღამოს მაღალი შეფასება მისცეს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ, რეჟისორმა ლორიტა ჯორჯიკიამ, მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგმა სოფიო მიქელაძემ, მე-2 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგმა ნატო ჯამბურიამ.



„ქალაქ სამტრედიის №7 საჯარო სკოლაში ჩატარდა შუა საუკუნეების ინგლისისა და უილიამ შექსპირის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიების ორგანიზატორები გახლდნენ სკოლის ინგლისურის მასწავლებელი ქეთისო სტურუა და ისტორიის მასწავლებელი თეონა კრავეიშვილი.



დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეების მიერ შექსპირისადმი მიძღვნილმა სასცენო წარმოდგენამ, რომლის გაფორმებამ და მოსწავლეების სამსახიობო ხელოვნებამ აღტაცება მოჰგვარა მნახველს.

მადლობა განსაკუთრებული ნიჭიერებისა და გაწეული დიდი შრომისათვის ქეთისო სტურუასა და თეონა კრავეიშვილს, ასევე – სკოლის დირექტორს ქალბატონ მარინა გოგიშვილს.

ქალაქ სამტრედიის №7 საჯარო სკოლა ყოველთვის საინტერესო ღონისძიებებით ეხმიანება მნიშვნელოვან მოვლენებს და სკოლას, საბედნიეროდ, ჰყავს შესანიშნავი მასწავლებლები, რომლებიც ძალუძთ სკოლის პრესტიჟის მაღალ დონეზე წარმოდგენა.



სკოლის მასწავლებლები თვითონ პრაქტიკული საქმიანობით უნდა ადასტურებდნენ იმ სტატუსებს, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მათ ანიჭებს". – განაცხადა „სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ.

„დადებითი ემოციებით სავსე ვარ ამ ღონისძიების შემდეგ, აღტაცებით და ღიმილით ვუყურებდი პატარა გოგო-ბიჭებს, რომლებმაც შესანიშნავად მოირგეს შექსპირის გმირების როლები. მომეწონა მსახიობების სასცენო კოსტიუმები. აღსანიშნავია, დედოფალ ელისაბედ I-ის და თავად შექსპირის როლის შემსრულებლები. დედოფლის სიდიადე და სინაზე კარგად მოირგო ჩვენმა თანაქალაქელმა გოგონამ. წარმატებებს ვუსურვებ №7 საჯარო სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, მე-7 სკოლას კიდევ ბევრ საინტერესო და შემოქმედებით ღონისძიებას ვუსურვებ". – ასეთი შეფასება მისცა საღამოს მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგმა, სოფიო მიქელაძემ.

# ჩვენი ბიბლიოთეკა

დიდი ხანია, მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა (დირექტორი ლიანა დუნდუა), რომელიც წლებია, ქალაქის ცენტრში, ასბინიანი სახლის პირველ სართულზეა განთავსებული, ახალგაზრდებისა და ინტელიგენციის თავშეყრის საყვარელ და მყუდრო ადგილს წარმოადგენს. რაოდენ საკვირველი უნდა იყოს, არიან ისეთებიც, რომელთაც ქუდი რომ შეუგდოთ, შიგ მაინც არ შევლენ.

იყო დრო, როცა ბიბლიოთეკას ხსენებული ლოკაციიდან გამოსახლება დაუპირეს, თუმცა, ისევ და ისევ ინტელიგენციისა და იქ დასაქმებულთა ძალისხმევით, ქალაქის სავიზიტო ბარათად კანონიერად მიჩნეული ეს ორგანიზაცია კვლავ ფუნქციონირებს და მრავალფეროვანი ღონისძიებებითაც ანებივრებს საზოგადოებას.

აპრილი განსაკუთრებული თვეა და "წიგნის ხმამაღლა კითხვის", წიგნის ჩუქების, "დედა ენის" საიუბილეო თარიღებსა და ღირსეულ მოვლენებს ღირსეულადვე გამოეხმაურა ბიბლიოთეკა, გამოეხმაურა და არავინ დატოვა გულგრილი.

შესანიშნავად აღინიშნა აქ 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებიდან 45-ე წელი, ეს ის თარიღია, როცა სახელმწიფო ენისათვის, სტატუსის წართმევა მოისურვა ჩვენმა "უფროსმა ძმამ", მაგრამ...

მომდევნო დღეებში ბიბლიოთეკას სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები ეწვივნენ ლამაზად გააზრებული ღონისძიებებით, არანაკლებ ლამაზად ჩაიარა წიგნის ჩუქების დღისადმი მიძღვნილმა აქტივობამაც. ღონისძიების ორგანიზატორებმა (ბიბლიოთეკის დირექტორის ხელწერით) სიგელები და წიგნები გადასცეს აქტიურ მკითხველებს, ახალგაზრდებს და ამ ქმედით უთხრეს მათ, რომ ორმხრივი კონტაქტები ორივე მხარისთვის აუცილებელია. ამ დღეებში ბიბლიოთეკას ცეროდენა გოგო-ბიჭები, ბაღის აღსაზრდელებიც ეწვივნენ.

ლამაზ მოგონებად გაჰყვებათ 2023 წლის აპრილში გამართული აქტივობებისას მიღებული შთაბეჭდილებები მათ მონაწილეებს.

ლევან ბაბეჩავა





# „თუ სამშობლომ გიცნო კარგ შვილად“

*ჩვენი თანამემამულე პოეტის ზოია ვაშაკიძის საბავშვო ლექსების კრებული "გაზაფხულის პანგები", ცნობილი ქართველი პოეტის ლიდა სტეილის რედაქტორობით 2000 წელს გამოიცა და სკოლამდელი, ასევე სკოლის ბავშვებისათვის პოპულარული გახდა.*

*როგორც ქალბატონი ლიდა წერდა: "პოეტი ზოია ვაშაკიძე ოც წელზე მეტია, ბავშვებთან მუშაობდა, მათი სიყვარულით ცოცხლობდა... ეს სიყვარული მის ლექსებშია ჩასხივებული...*

*ამ კრებულიდან ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ საბავშვო ლექსების ამონარიდს.*

ნათელა ზელეიშვილი



### სამადლობელი

უფლის ნებით როცა მოველ,
გავახილე როცა თვალი,
დავინახე დედა, მამა,
მზე და ნორჩი მთვარის რკალი.
დავინახე ვარსკვლავები,
ყვავილები – კონა-კონა,
რასაც ჩემი თვალი მისწვდა,
ყველაფერი მომეწონა.
წარმტაცია მთა და ბარი,
ზეცით – მზე და ქვევით – ია,
გმადლობ, ღმერთო, ჩემს სალხენად
რა სამოთხე შეგიქმნია.

### აკვანთან

ალუ, ალუ, კიჭო, კიჭო,
გაიზარდე დიდი ბიჭი.
შენი სუნთქვა გადაეფლოს
მშობელ მიწას, მთებს, ცაზე მოკრიალებს.
შევთხოვე უფალს, სიკეთის და
სიყვარულის მოგცეს ნიჭი.
მკურნალობდე ერის წყლულებს,
იბეჯითო, რა შეგიშლის.
ღირსეულად ამაყობდეს
შენით, შენი გვარი, ჯიში.
თუ სამშობლომ გიცნო კარგ შვილად,
მე რა მომკლავს, მე რა მიჭირს.
ალუ, ალუ, კიჭო, კიჭო,
გაიზარდე დიდი ბიჭი.

***

ჩემო ცოცქნა ბიჭია,
რად ხარ ასე პრანჭია,
სულ არაფერს არ ჭამ
ბოსტნეულის გარდა.
რად არ გიყვარს ბავშვები,
რად არ მეთამაშები,
სულ სხვაგან რომ გარბიხარ,
საწყენი ვარ შენზე.
აღარ დაგპატიჟებ
დაბადების დღეზე.

### კითხვა-პასუხი

– დათო, ვისი ბიჭი ხარ?
– დედასი და მამასი.
– კიდევ ვისი ბიჭი ხარ?
– ბაბუსი და ბებოსი.
– კიდევ ვისი ბიჭი ხარ?
– ჩემი საქართველოსი!

### შენს მადლიან ცის ქვეშ

იისფერი კაბით,
მზისფერი თავსაფრით,
შენს მადლიან ცის ქვეშ
ნიავივით დავქრი.
სიხარულით ტოკავს
ჩემი ცოცქნა გული,
მზესავით მინთია გზებზე
შენი სიყვარული.
მამულო, შენს ცის ქვეშ,
გაზრდას მიტომ ვჩქარობ,
კარგი სწავლით, შრომით
შენ რომ გაგახარო.

### მეოცნებე გოგონა

შრომა უნდა ვასწავლო
ჩემს პაწია ხელებს,
ხან მოვქსოვო, ხან შევკერო
კაბებს ნაირფერებს.
დედას მოვეხმარები –
გავურეცხავ სარეცხს,
მერე დაღლილ-დაქანცულს
დავუკოცნი თვალებს.
თეასაც თავად მოვუვლი,
გავუკეთებ ბაფთებს,
– უი, რამდენს ვტიტინებ,
ნეტავ, შევძლებ ამდენს?

### ჩვენი დიდი ოჯახი

გუშინ ბურთი მომიტანა,
დღეს მანქანა ამიწყო,
ვენაცვალე ჩემთვის მზრუნველს,
ჩემს საყვარელ მამიკოს.
ყვავილები, რომ გაახარო,
მინდა, მარად მხნედ იყოს.
ჩვენი ასე ტკბილად ყოფნა
უხარია დედიკოს.
ახლა, ბებოს არ იკითხავთ?
მის მხიარულ მოძახილს,
ლექსს მასწავლის, ყვება ზღაპარს,
სიხარულში დრო გადის.
– ჰოდა, ასე ტკბილად ცხოვრობს
ჩვენი დიდი ოჯახი.

### გაზაფხული

იებით და ენძელებით
ველ-მინდორი მოფენილა,
მზე მოძალდა, ქარი გათბა,
ჩიტუნებიც მოფრენილან.
ყვავილები, ყვავილები,
ათასფერად დახატული,
რა ლამაზად შემოფრინდა
ჩემს ეზოში გაზაფხული,
ნელი სიო სხივთა ჰამაკს
აქანავებს აქეთ-იქით,
მწვანე მოლზე დაფარფატებს
ტყემლის ყვავილების ფიფქი.
ხე შრიალებს, დგას ნათელი,
მზე მინთია თითქოს გულთან,
ცა იცინის, ქარი მღერის,
გაზაფხულდა, გაზაფხულდა!..

### ნატვრის ხე

რა ლამაზად გამობრწყინდა
შენი ლურჯი დღეო,
გაზაფხულო, ამიყვავე
ჩემი ნატვრის ხეო.
გაუმრავლე მამულს შვილი –
ასული და ძეო,
ანუხრუხე ნაკვალევი,
აშრიალე ტყეო,
დაიპურე წვიმით ყანა
და სავენახეო.
ჩემი ქვეყნის აყვავებაც
მალე მანახეო.

### არც ისე იოლია

აქ, სადაც მტკვარია და რიონია,
სვეტიცხოველია, სიონია,
აქ, სადაც შოთაა, გალაკტიონია,
საქართველოა, ცა ერთი ფერია,
– გიყვარდეს საქართველო,
უმღერო საქართველოს,
არც ისე იოლია.
მიწას მტრებიანს და მიწას მოყვრებიანს,
დღეს სატკივარი და ხვედა მორევია
და რომ აღორძინდეს და რომ აღმაღლდეს,
ჩვენგან მოვლა უნდა, როგორც არასოდეს...
ირგვლივ სიყვარულის ლურჯი გალავანი
უნდა შემოვავლოთ, ვაძლიეროთ,
ვარდი დავურგოთ და შვილი გავუმრავლოთ
მარადს – უკვდავებას, უნდა ვაზიაროთ,
უნდა გავუმრავლოთ ბაღი და ვენახი,
უნდა ავუყვავოთ სივრცე – გარემო,
და თუ დასჭირდება მის ციხე-დარბაზებს,
სიმაგრედ ზურგებით უნდა ჩავუშენოთ.
აქ, სადაც მტკვარია და რიონია,
სვეტიცხოველია, სიონია,
აქ, სადაც შოთაა, გალაკტიონია,
საქართველოა, ცა ერთი ფერია,
მზე ბაღს რომ აყვავებს მიმოზიანს,
მინდვრები იებით რომ იმოსება,
აქ, სადაც ეგრისი და ვაზი არის,
აქ, სადაც კოლხია და ლაზი არის,
სადაც ულურჯესი ცის ყაფიონია,
საქართველოა, ცა ერთი ფერია,
გიყვარდეს საქართველო,
უმღერო საქართველოს,
არც ისე იოლია...

ზოია ვაშაკიძე

# ქორეოგრაფ მერაბ პაქსაშვილის ხსოვნას შესანიშნავი კონცერტი მიეძღვნა

ნათია ნაცვლიშვილი

*სამტრედიელთა საყვარელი ქორეოგრაფის, მერაბ პაქსაშვილის, ხსოვნას მიეძღვნა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში კონცერტი. სამტრედიაში მოღვაწე ქორეოგრაფებმა თავიანთი ანსამბლები გამოიყვანეს და ბრწყინვალე სანახაობაც შედგა. როგორც მერაბ პაქსაშვილის ვაჟმა, კორა პაქსაშვილმა, "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში აღნიშნა, ამ საღამოს გამართვის ინიციატორი მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძეა. მან ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნატალიას, ქორეოგრაფებს, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითი ჯგუფები სცენაზე გამოიყვანეს, სტუმრად მყოფ ქორეოგრაფთა კავშირის წარმომადგენლებს და ყველას, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა მამის ხსოვნის უკვდავყოფაში. საღამო მართლაც არაჩვეულებრივ გამოფენად იქცა, "როკვით განფენილი ქართული გენიის" ნიჭიერების, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების გამოფენად.*

კონცერტი ანსამბლ "ლილეს" სამხატვრო ხელმძღვანელმა, მამუკა მხეიძემ წაიყვანა.

მანვე ვირტუალური ინტერვიუ წარმოგვიდგინა მარადისობაში გადასულ მაესტროსთან და ასე გაესაუბრა მას: "გამარჯობა მერაბ, ეს პირველი ინტერვიუა დედამიწიდან პარალელურ სამყაროში... იმედია, კორესპონდენტი იქნები. მე, რესპონდენტს, აბა, რა დამავიწყებს, 3 ათეული წელი გვაკავშირებს ერთმანეთს, თითქმის შევეჩვიეთ აქ. ამ მიწისქვეშეთში, კი... კი... მიწისქვეშეთიც მიწის ზემოთაც, ჩვენ ყველანი კარგად ვართ, აქ არაფერი იცვლება, რადგან თვითონ ყველაფერია მარადიული. შენი ანსამბლი ცეკვავს, სხვებიც ცეკვავენ მარადიული ლოზუნგით: "ხელოვნებაა თავად უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწვია სიკვდილი"... აქ გავჩერდები და შევცვლი... ეწვია ოსტატს სიკვდილი. მხოლოდ მიწიერი, ხორციელი სიკვდილი, ოსტატი წავიდა, შეგირდები დარჩნენ, შეგირდებიც დაოსტატდებიან და ასე ლაღად ივლით ამ ცამოაცვლის მარადამხარ".

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის ბავშვთა სანიმუშო სახალხო ანსამბლ "სამტრედიას" სათავეში მერაბ პაქსაშვილის ვაჟი, კორა პაქსაშვილი, ჩაუდგა მამის გარდაცვალების შემდეგ. სცენაზე პირველი სწორედ ეს ქორეოგრაფიული ანსამბლი წარსდგა, ცეკვით "აჭარული". საქართველოს დამსახურებულმა ქორეოგრაფმა, ლევან ნუცუბიძემ სცენაზე გამოიყვანა გომის თემთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "გომშუხა", ანსამბლი "ხორუმი" და "კავკასიონი" წარსდგა მაყურებლის წინაშე. ბავშვთა სანიმუშო სახალხო ანსამბლმა "სანავარდომ" (ხელმძღვანელი გენადი გრიგოლია) ცეკვა "მთიულური" წარმოადგინა. ცეკვით "აჭარული" წარსდგა მაყურებლის წინაშე ანსამბლი "როკვა" (ხელმძღვანელი ანა ჯინჭველაშვილი). ანსამბლმა "სამტრედიამ" ცეკვები "აფხაზური", "ოსური" და "ხორხაოი" შეასრულა.

"მთიელ ქალ-ვაჟთა საზეიმო" — ასე ერქვა ცეკვას, რომელიც ქუთაისის სამუსიკო სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "ფესვებმა" (ხელმძღვანელი მამუკა ბუაძე) წარმოადგინა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ანსამბლმა "ლილემ" ქორეოგრაფი გელა თურმანიძე ცეკვა "გარე კახური" და "მთიულური" წარმოადგინა.

სამტრედიას ესტუმრა ხონის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი "ათინათი". ამ ანსამბლის ხელმძღვანელი თემურ ადეიშვილი მერაბ პაქსაშვილის აღზრდილია, შეგირდმა ოსტატისადმი დიდი მადლიერების გამოხატვა სწორედ მისი ხსოვნის საღამოზე საკუთარი ანსამბლის სტუმრობითა და შესანიშნავი ქორეოგრაფიული ნომრების წარმოდგენით გადაწყვიტა. ანსამბლს მასთან ერთად, მეუღლე, თინათინ ქვანია ხელმძღვანელობს. განსაკუთრებით სასიხარულო იყო სცენაზე მათი შვილის, პატარა სოსილი ადეიშვილის სადებიუტო გამოსვლა.

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში თემურმა განაცხადა, რომ ის ანსამბლ "სამტრედიაში" გაიზარდა, სწორედ ვალდებული იყო, თავისი მოსწავლეები, მოცეკვავეები ჩამოეყვანა ქალაქში, რომელიც მისთვის მშობლიურია და გამოეყვანა საღამოზე, რომელიც მისი მასწავლებლის ხსოვნას მიეძღვნა და ის გაასმაგებული პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს. თემურმა გვითხრა, რომ მან სამტრედიის მეექვსე საჯარო სკოლა დაამთავრა, სამტრედია ძალიან უყვარს და თვრამეტი წლიდან სიღნაღში მოღვაწეობს. ანსამბლი ჯერ ცეკვა "აჭარულით" წარსდგა მაყურებლის წინაშე, შემდეგ კი, პატრიოტული პერფორმანსი წარმოადგინა სახელწოდებით ცეკვა-კომპოზიცია "საქართველოსათვის".

მე-12 საჯარო სკოლასთან არსებულმა ქართული ცეკვის სტუდია "ალამამ" (ხელმძღვანელი გაგუ თევზაძე) ცეკვა "ხევსური" წარმოადგინა. კულტურის ცენტრის დირექტორმა, ვეფხია ნადირაძემ თავის გამოსვლაში მერაბ პაქსაშვილის დვაწლსა და პიროვნულ კეთილშობილებას გაუსვა ხაზი.

ბავშვთა სანიმუშო სახალხო ანსამბლმა "იმერი", რომლის ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული ქორეოგრაფი ხოსო შენგელია, ცეკვა "ბაღდადური" წარმოადგინა. ბატონმა ხოსომ ჩვენთან საუბარში განაცხადა: "ჩვენ ვიხსენებთ ქართული ქორეოგრაფიის დიდი ოჯახის ბრწყინვალე წარმომადგენელს, ის იყო, როგორც ჩვენ ვამბობთ "ჯიგარი" სამტრედიელი, იყო დიდი პიროვნება, უკეთილშობილესი ადამიანი, იყო არა მარტო ქორეოგრაფი, არამედ დიზაინერიც, უყვარდა ფრინველები და ცხოველები, მისი ოჯახი ბოტანიკურ ბაღს ჰგავდა სოფელ ილორთან ახლოს. მადლობა მის სულს, რომ ამხელა სიყვარული დაგვიტოვა, ის ამ ავადსახსენებელ კორონას ემსხვერპლა. მის ანსამბლს მისი ვაჟი ხელმძღვანელობს, წარმატება მინდა ვუსურვო მათ და მადლობა მინდა ვუთხრა ქალაქის მერიას, კულტურის სამსახურს, ყველა ქორეოგრაფს, ვინც გამოიყვანა ანსამბლი სცენაზე".

ლევან ნუცუბიძე: "დავიწყებ იმით, რომ მერაბი ჩემი თანაკლასელი იყო, ჩვენ ერთად დავამთავრეთ ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი ქორეოგრაფიის განხრით, ვიყავი მისი მეჯვარე, გახლავართ მისი ქალიშვილის ნათლია. მერაბი იყო დიდი პროფესიონალი, დიდი ადამიანი, დღეს უკლებლივ ყველა ქორეოგრაფიული ანსამბლი გამოვიდა სცენაზე, რომ პატივი მივაგოთ ჩვენს ბრწყინვალე პედაგოგსა და შემოქმედ ადამიანს".

მარინა შენგელია, სამტრედიის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის მოადგილე: "მერაბი იყო ჩემი წარსული, ჩვენი ახალგაზრდობა, ერთი თაობისანი ვართ. 1978 წლიდან მრავალი წელი ერთად გამოვდიოდით ეროსი მანჯგალაძის კულტურის სახლის სცენაზე. მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება გასულ წელს. 30 წელი იგი არ მენახა, ის იყო უაღრესად ნიჭიერი, პატიოსანი, ჩვენს ანსამბლ "სამტრედიაში" მისი სცენაზე გამოსვლა ყოველთვის ოვაციებს იმსახურებდა, ის სოლისტი იყო. ჩვენს ანსამბლს ხელმძღვანელობდნენ გიორგი ქეშელავა და რამაზ ბარათელი, ეს ანსამბლი ნიჭიერთა ნამდვილი სამჭედლო იყო, ჩვენ უამრავ შემოქმედებით ფესტივალზე სამტრედიის სახელით გამოვდიოდით და წარმატებებს ვაღწევდით. ვმონაწილეობდით კულტურის სახლის სცენაზე გამართულ კონცერტებსა და სპექტაკლებში".

ლალი თედუშიძე, იურისტი: "სამტრედიას ჰყავს ძალიან ძლიერი ქორეოგრაფიული სკოლები, თითოეულ ქორეოგრაფს აქვს თავისი ორიგინალური ხელწერა, ერთ-ერთი ასეთი გახლდათ მერაბ პაქსაშვილი".

ნიჭიერებით გამოირჩეოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ჯგუფი, სახელწოდებით "დოლური". მათი მუსიკალური ნომერი შთამბეჭდავი იყო (ხელმძღვანელი ნარიმან ღუნდუა).

ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. დასასრულს სამტრედიაში მოღვაწე ანსამბლებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაწესებული მადლობის სიგელები გადასცეს.

ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მერაბ პაქსაშვილს დამსახურებული ქორეოგრაფის და პედაგოგის წოდება მიენიჭა. პრიზი ანსამბლ "სამტრედიას" გადაეცა.

კონცერტი ერთგვარად შეაჯამა კულტურის სამსახურის უფროსმა და აღნიშნა, რომ სამტრედიის ქორეოგრაფიული ანსამბლები არაერთ კონკურსსა და ფესტივალზე გამოირჩევიან თავიანთი ორიგინალური ნომრებით და დიდ წარმატებებს აღწევენ. მან კონცერტის ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა ღირსშესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის.











# მერი არაბიძე გერმანიის საკლუბო ტურის გამარჯვებულია



საქართველოს ქალთა ნაკრების წევრები: მერი არაბიძე, ნინო ბაცია შვილი და ლელა ჯავახიშვილი გერმანიის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ. ქართველი მოჭადრაკეები "SK Schwäbisch Hall" სახელით ასპარეზობდნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მის გამარჯვებაში.

"29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით გერმანიაში ჩატარდა ბუნდეს ლიგის 2022-2023 წლის დასკვნითი 3 ტური, სადაც ჩემი კლუბი "შვებიშ ჰოლი" გახდა ჩემპიონი. მე, პირადად, ბოლო 3 ტურიდან 2,5 ქულა ავიღე და ჩემი წვლილი შევიტანე ამ გამარჯვებაში.

აღსანიშნავია, რომ ჩემთან ერთად ამ კლუბში თამაშობდნენ ნინო ბაცია შვილი და ლელა ჯავახიშვილი და როგორც ყველამ აღნიშნა, ქართველების წვლილი ამ გამარჯვებაში დიდი იყო. ჩვენი კლუბისთვის ეს რიგით მეორე ჩემპიონობა იყო 6 წლის შემდეგ.

კლუბის ყველა წევრი ძალიან ბედნიერი იყო შედეგით. დასურვილიდან მეორე დღეს "შვებიშ ჰოლის" მერიაში გულთბილად გვიმასპინძლეს, მოგვილოცეს წარმატება და მომდევნო წელს ტიტულის შენარჩუნება გვისურვეს.

მიხარია, რომ წელს პირადად ჩემთვის ჩემპიონობის სერია გრძელდება და 3 მაისიდან დავიწყებ მომდევნო ტურნირისთვის მზადებას". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა მერი არაბიძემ.

ნინო ნანიტაშვილი



## ვულოცავთ!

თამარ რევიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩვენო საყვარელო, ბედნიერ, ლაღ, უდრტვინველ ბავშვობას, ნათელ მომავალს გისურვებ შენ და შენს დაიკოს. უფალმა გაგაძლიეროს და გაგახაროს!

დიდი ბაბო

ქალბატონ ნინო ბოგიაშვილს!



ჩემო ნინო, გულითადად გილოცავ დაბადების დღეს. რა ლამაზი დამთხვევაა, ეკლესიების აღამიანებისათვის თანადგომის დღეს მოევლინე სამყაროს. ქალური ღირსებებით გამორჩეული დედა, რომელიც თავად ჰქმნი მშვენიერებას და ალამაზებ ჩვენს კუთხეს.

ნინო, გიხაროდეს შენს დალოცვილ ოჯახთან, შთამომავლობასთან ერთად!

შენი ნათლია დეიდა



ლილი ჩაბრაძეს!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო მონატრებულო, ჩემო ვარსკვლავთელებავ, ორ ენაზე მოტიტინე, ჭკვიანო გოგონავ ლილი. უკვე 6 წლის შესრულდი. დალოცვილი იყოს, ბებო, შენი სამომავლო გზა! უფალი იყოს შენს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი.

სიყვარულით შენი ბებო ბულიკო ბობიტიძე-ჩაბრაძე



ქეთევან ტალახაძეს!

ქეთინოს – გულიანს, ერთგულს, საიმედოს, საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ დაბადების დღეს. იმაისა და იმშვიდს გაზაფხულის საყვარი ქეთი, შენი დაითის სიყვარულით და ღვთის წყალობით მათეს ბედნიერებით. დალოცვილიდ დაგეხმაროს ჩვენი მილოცვა!

თეა და მაკა

## ისტორიაში მეორედ

საქართველოს ჩემპიონი რაგბიში 30 წლის შესვენების შემდეგ, ისტორიაში მეორედ გახდა რუსთავის "ხარები", რომელმაც თბილისში, 6 მაისს ავჭალის სარაგბო სტადიონზე დიდი ათის ფინალში ანგარიშით 24:22 დაამარცხა ბათუმის "ბათუმი".

იორამ ნიკოლეიშვილი

## დათო კვირცხალიას ვულოცავთ დაბადების დღეს!




## ვულოცავთ!




მაიას და თენგოს!




ნოე ივანიაძეს!




ოთარ ღულეისკირს!

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

| | |
|---|---|
| დირექტორი | ბექან ბობია |
| მთავარი რედაქტორი | ქეთევან ზედიძე |
| გამომშვები რედაქტორი | თეა ბაბუნაშვილი |
| პასუხისმგებელი მდივანი | ლევან ბაბეჩავა |
| კომპიუტერული გრაფიკა | მაკა პაპავა |